ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5484688

ნომერი: AR1834537

თარიღი : 27.06.2021

გაცემის თარიღი : 02.07.2021

გაცნობის თარიღი : 13.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტვილდიანი პ/ნ 01008043924
- დ. მესტია გ.ჯაფარიძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ტვილდიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008043924

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 43019.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 33641.35
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 111016.46
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 92366.46
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 18650.0

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 42.34
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 39.34
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. შესაბამის ველში წარმოადგინეთ საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 (31.05.2019) დადგენილების 19-ე მუხლის N3 პუნქტის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს:

- დემონტაჟის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
- მიწის ნაკვეთის მისამართს;
- მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
- დემონტაჟის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს განაცხადის განხილვის ვადებს;
- შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
- არსებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

02. დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე - დამკვეტის ინფორმაციის ველები შეივსოს შესაბამისად და წარმოდგენილი იქნას მესაკუთრის მიერ გაცემული, დამოწმებული მინდობილობა. წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული მოიჯარეების მიერ გაცემული, დამოწმებული თანხმობები, ხოლო, თუ ხელშეკრულება შეწყვეტილია, განახლდეს ამონაწერი. ვინაიდან, მიწის ნაკვეთი დატვირთულია სს "თიბისი ბანკის" იპოთეკით, ასევე, ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება სს "თიბისი ბანკთან", წარმოდგენილი იქნას სს "თიბისი ბანკის" თანხმობა (ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად

03. შესაბამის ველში, წარმოსადგენია, კონსტრუქციული დასკვნა, სადაც დადგენილი იქნება მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების არსებული ტექნიკური მდგომარეობა და ცალსახად განსაზღვრული: დემონტაჟით მოთხოვნილი სამუშაოების გათვალისწინებით მათზე რაიმე სახის ზეგავლენა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გამაგრებას საჭიროებს მომიჯნავე შენობები საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე, ხოლო შესაბამისი სამუშაოები გათვალისწინებულ იქნას დემონტაჟის ორგანიზების პროექტში.

04.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : წარმოდგენილ იქნას სადემონტაჟო პროექტის საექსპერტო შეფასება.

05. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:

წარმოდგენილ იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი, სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული, განახლებული, დათარიღებული ფოტოსურათები.
06. წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ს.კ 01.00.287 (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"), ს.კ 01.02.047 და ს.კ 01.00.318 (სს „სილქნეტი"), ს.კ 01.02.267 (შპს „მაგთიკომი") რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობები, ასევე თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - სანიაღვრე ქსელი.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.